

„კლინიკური ტოქსიკოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „კლინიკური ტოქსიკოლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

„კლინიკური ტოქსიკოლოგია“ არის მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანის ორგანიზმის და შხამის ურთიერთმოქმედების პრინციპებს და მათ შედეგებს, რის საფუძველზეც ხდება თვით მწვავე მოწამვლებისა და მათ მიერ გამოწვეული მძიმე გართულებათა მკურნალობის მეთოდების შემუშავება და დანერგვა.

3. ზოგადი ცოდნა:

კლინიკურმა ტოქსიკოლოგმა უნდა იცოდეს:

- ა) პაციენტის ზოგადი მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი;
- ბ) ავადმყოფის გამოკვლევის ობიექტური მეთოდების გამოყენება;
- გ) დაავადების ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების გამოვლენა თანამედროვე კრიტერიუმების შესაბამისად;
- დ) სამუშაო ადგილის მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხორციელება, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის გაფორმება;
- ე) გადაუდებელი მედიცინის საფუძვლები;
- ვ) შინაგანი სნეულებების და პედიატრიის საფუძვლები;
- ზ) ზოგადი რენიმაციის საფუძვლები;
- თ) ნევროლოგიის და ნეირორენიმაციის საფუძვლები;
- ი) ნარკოლოგიის საფუძვლები;
- კ) ტოქსიკოლოგიური ექსპრეს-დიაგნოსტიკა;
- ლ) შხამისა და ორგანიზმის ურთიერთმოქმედება;
- მ) მწვავე მოწამვლათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ზოგადი პრინციპები.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

| ICD 10 | პათოლოგია | საქმიანობის მოცულობა |
|-----------|--|----------------------|
| T36 – T50 | სამკურნალო საშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლა | მართვა |
| T51 – T65 | უპირატესად არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციების ტოქსიკური ეფექტები | მართვა |
| T96 | სამკურნალო საშუალებებით, მედიკამენტებითა და ბიოლოგიური ნივთიერებებით გამოწვეული მოწამვლის შედეგები | მართვა |
| T97 | უპირატესად არასამედიცინო დანიშნულების საშუალებებით ტოქსიკური ზემოქმედების შედეგები | მართვა |
| W 57 | კბენა ან დანესტვრა არაშხამიანი მწერის და სხვა არაშხამიანი ფეხსახსრიანების მიერ | მართვა |
| W 59 | ქვეწარმავლების მიერ მიყენებული კბენა ან დარტყმა | მართვა |

| | | |
|-----------|--|--------|
| W 60 | კონტაქტი მცენარეთა ეკლებთან,წვეტებთან და ბასრ ფოთლებთან | მართვა |
| X20-X29 | კონტაქტი შხამიან ცხოველებთან და მცენარეებთან | მართვა |
| X41 - X49 | შემთხვევითი მოწამვლა და შხამიანი ნივთიერებების ზემოქმედება | მართვა |
| X60 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება არაოპიოიდური ტკივილგამაყუჩებლებით, სიცხის დამწვევი და ანტირევმატიზმული საშუალებებით | მართვა |
| X61 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება ანტიეპილეფსიური, სედაციურ-სამილე, ანტიპარკინსონული და ფსიქოტროპული სამკურნალწამლო საშუალებებით, რომლებიც არ არიან შეტანილი სხვა რუბრიკებში | მართვა |
| X62 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება ნარკოტიკებით და ფსიქოდისლეფსიური საშუალებებით (ჰალუცინოგენები), რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში | მართვა |
| X63 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება სხვა სამკურნალწამლო საშუალებებით, რომლებიც მოქმედებს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე | მართვა |
| X64 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება სხვა და დაუზუსტებელი სამკურნალწამლო საშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ნივთიერებებით | მართვა |
| X65 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება ალკოჰოლით | მართვა |
| X66 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება ორგანული გამხსნელებით და ჰალოგენშემცველი ნახშირწყალბადებით და მათი ორთქლით | მართვა |
| X67 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება სხვა აირებით და ორთქლით | მართვა |
| X68 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება პესტიციდებით | მართვა |
| X69 | განზრახ თვითმოწამვლა და ზემოქმედება სხვა და დაუზუსტებელი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით | მართვა |
| X76 | განზრახ თვითდაზიანება კვამლით, ცეცხლით და ცეცხლის ალით | მართვა |
| X77 | განზრახ თვითდაზიანება ორთქლით, ცხელი ანაორთქლით და ცხელი საგნებით | მართვა |
| X85 | თავდასხმა სამკურნალწამლო საშუალებების, მედიკამენტებისა და ბიოლოგიური ნივთიერებების გამოყენებით | მართვა |
| X86 | თავდასხმა კოროზიული ნივთიერებების გამოყენებით | მართვა |
| X87 | თავდასხმა პესტიციდების გამოყენებით | მართვა |
| X88 | თავდასხმა აირის და ორთქლის გამოყენებით | მართვა |
| X89 | თავდასხმა სხვა დაზუსტებული ქიმიური და შხამიანი ნივთიერებების გამოყენებით | მართვა |
| X90 | თავდასხმა დაუზუსტებელი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებების გამოყენებით | მართვა |
| Y10 | არაოპიოიდური ტკივილგამაყუჩებლებით, სიცხის დამწვევი და ანტირევმატიზმული საშუალებებით მოწამვლა ან ზემოქმედება, დაუდგენელი განზრახვით | მართვა |
| Y11 | მოწამვლა და ზემოქმედება ანტიეპილეფსიური, სედაციურ-სამილე, ანტიპარკინსონული და ფსიქოტროპული მედიკამენტებით, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში, დაუდგენელი განზრახვით | მართვა |
| Y12 | მოწამვლა და ზემოქმედება ნარკოტიკებით და ფსიქოდისლეფსიური საშუალებებით [ჰალუცინოგენები], რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში, დაუდგენელი განზრახვით | მართვა |
| Y13 | მოწამვლა და ზემოქმედება სხვა სამკურნალწამლო საშუალებებით, | მართვა |

| | | |
|-------|---|--------|
| | რომლებიც მოქმედებენ ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე, დაუდგენელი განზრახვით | |
| Y14 | მოწამვლა და ზემოქმედება სხვა და დაუზუსტებელი სამკურნალო საშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ნივთიერებებით, დაუდგენელი განზრახვით | მართვა |
| Y15 | მოწამვლა და ზემოქმედება ალკოჰოლით, გაურკვეველი განზრახვით | მართვა |
| Y16 | მოწამვლა და ზემოქმედება ორგანული გამხსნელებით, ჰალოგენშემცველი ნახშირწყალბადებითა და მათი ორთქლით, დაუდგენელი განზრახვით | მართვა |
| Y17 | მოწამვლა და ზემოქმედება სხვა გაზებითა და ორთქლისმაგვარი ნივთიერებებით, დაუდგენელი განზრახვით | მართვა |
| Y18 | მოწამვლა და ზემოქმედება პესტიციდებით, დაუდგენელი განზრახვით | მართვა |
| Y19 | მოწამვლა და ზემოქმედება სხვა და დაუზუსტებელი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით, დაუდგენელი განზრახვით | მართვა |
| Y36.7 | საომარი ოპერაციები ქიმიური იარაღის და მასობრივი განადგურების იარაღის სხვა ფორმების გამოყენებით | მართვა |
| Z57.3 | ჰაერის საწარმოო დაბინძურების არასასურველი ზემოქმედება | მართვა |
| Z57.4 | სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ტოქსიური ნივთიერებების არასასურველი ზემოქმედება | მართვა |
| Z57.5 | არასასურველი ზემოქმედება ტოქსიური ნივთიერებებით და სხვა წარმოებებში | მართვა |
| T80.1 | ინფუზიის, ტრანსფუზიის და სამკურნალო ინექციის შედეგად განვითარებული სისხლძარღვოვანი გართულებები | მართვა |
| T80.5 | შრატისმიერი ანაფილაქსიური შოკი | მართვა |
| T80.8 | ინფუზიის, ტრანსფუზიის და სამკურნალო ინექციის შედეგად განვითარებული სხვა გართულებები | მართვა |
| T80.9 | ინფუზიის, ტრანსფუზიის და სამკურნალო ინექციის შედეგად განვითარებული დაუზუსტებელი გართულება | მართვა |
| G92 | ტოქსიური ენცეფალოპათია | მართვა |
| G93.4 | ენცეფალოპათია, დაუზუსტებელი | მართვა |

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

- ა) ექიმ-ტოქსიკოლოგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:
- ა.ა) ბიოლოგიური სითხეების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზი;
 - ა.ბ) გულ-მკერდის, მუცლის ღრუს, თავის ქალას, რენტგენოლოგიური, CT, MRI და ულტრასონოგრაფიული კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია;
 - ა.გ) ელექტროკარდიოგრაფია;
 - ა.დ) საყლაპავის, კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის ბოლქვის ენდოსკოპია;
 - ა.ე) ტრაქეის და ბრონქების ენდოსკოპია;
 - ა.ვ) ფუნქციური სინჯები ალერგიაზე;
 - ა.ზ) თირკმლის რენტგენოლოგიური, ულტრასონოგრაფიული, CT და MRI გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;
 - ა.თ) სისხლისა და შარდის ანალიზები;
 - ა.ი) იმუნოლოგიური გამოკვლევები;
 - ა.კ) ჰორმონალური გამოკვლევები;

ა.ლ) ნეიროჰორმონული გამოკვლევები.

ბ) ექიმ-ტოქსიკოლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების/კვლევების შესრულება:

ბ.ა) ანტიდოტოთერაპია;

ბ.ბ) სუნთქვის და სისხლის მიმოქცევის მონიტორინგი;

ბ.გ) ლარინგიალური ნიღაბის ან ნაზალური კანულის გამოყენება;

ბ.დ) ფარინგიალური ან ნაზოფარინგიალური მილის ჩადგმა;

ბ.ე) თერაპია ჟანგბადით;

ბ.ვ) ცენტრალური ვენური კათეტერის შეყვანა და ჩაყენება გარეთა ან შიგნითა საულლე ვენაში;

ბ.ზ) ცენტრალური ვენური კათეტერის შეყვანა და ჩაყენება ლავიწქვეშა ან მხარ-თავის ვენაში;

ბ.თ) ცენტრალური ვენური კათეტერის შეყვანა და ჩაყენება ბარძაყის ვენაში;

ბ.ი) ბარძაყის ვენაში ორსანათურიანი დიალიზის კათეტერის შეყვანა ან გამოცვლა;

ბ.კ) ვენური კათეტერის გამოცვლა;

ბ.ლ) ვენის კათეტერიზაცია დაუზუსტებელი;

ბ.მ) ინტრავენური, ინტრამუსკულარული, სუბკუტანეური ინექციები;

ბ.ნ) პერიფერიულ ვენაში საინექციო კათეტერის ჩაყენება;

ბ.ო) პროცედურები სითხით მკურნალობის მოწყობილობის გამოყენებით;

ბ.პ) ვენური კათეტერის გამოცვლა;

ბ.ჟ) ვენის პუნქცია;

ბ.რ) არტერიული პუნქცია და არტერიული კათეტერის ჩადგმა;

ბ.ს) არტერიიდან ან ვენიდან კათეტერის ამოღება;

ბ.ტ) პროცედურები დაუზუსტებელი ლოკალიზაციის სისხლძარღვებზე;

ბ.უ) ფორსირებული დიურეზი;

ბ.ფ) სითხის და ელექტროლიტების დაბალანსება და კორექცია;

ბ.ქ) სითხის და ელექტროლიტების დაბალანსების შემდგომი მეთვალყურეობა;

ბ.ღ) სისხლის მჟავა-ტუტვანი წონასწორობის, ცილებისა და ნახშირწყლების ცვლის დაბალანსება;

ბ.ყ) სისხლის მჟავა-ტუტვანი წონასწორობის, ცილებისა და ნახშირწყლების ცვლის დაბალანსების შემდგომი მეთვალყურეობა;

ბ.შ) ნაზოგასტრალური ან ნაზო-გასტროდუოდენური ზონდის ჩადგმა;

ბ.ჩ) ოროგასტრალური ზონდის ჩადგმა კუჭში;

ბ.ც) პროფილაქტიკური თერაპია გულისრევის და ღებინების დროს;

ბ.ძ) კუჭის ამორეცხვა;

ბ.წ) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;

ბ.ჭ) შარდის ბუშტის კათეტერის გამორეცხვა;

ბ.ხ) შარდის ბუშტის კათეტერის ამოღება;

ბ.ჯ) ტრანსანალური გამორეცხვა;

ბ.ჰ) ნევროლოგიური ინტენსიური თერაპია;

ბ.31) სხვა ინტენსიური თერაპიის მონიტორინგი;

ბ.32) ასპირაციული კანულის ჩადგმა ტრაქეაში კანქვეშა მიდგომით;

ბ.33) გველის შხამის საწინააღმდეგო შრატის ინექცია;

ბ.34) ანტიტეტანური იმუნიზაცია გველის ნაკბენის მკურნალობისას;

ბ.35) ლაბორატორიული გამოკვლევისთვის ნიმუშის აღება;

ბ.36) ტრაქეის ინტუბაცია და სანაცია, სასუნთქი გზების სანაცია;

ბ.37) ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია (რეჟიმების, მეთოდების, ოფციების, ხელოვნური ვენტილაციიდან გამოსვლის სხვადასხვა მეთოდის ცოდნა, სპონტანური სუნთქვის ტესტის ჩატარება, ექსტუბაცია).

6. სპეციალიზაცია:

ექსტრაკორპორული დეტოქსიკაცია.

7. გარდამავალი ეტაპის რეგულირება:

ა) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, განახორციელოს საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში;

ბ) ექიმებს, რომელთაც 2014 წლის 7 თებერვლამდე მინიჭებული ჰქონდათ სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობაში „კლინიკური ტოქსიკოლოგია“, უფლება აქვთ, განახორციელონ ბავშვთა კონტინგენტის სამედიცინო დახმარება შესაბამისი სპეციალიზაციის კურსის - „ბავშვთა და მოზარდთა ტოქსიკოლოგია“ დასრულების შემთხვევაში;

გ) ექიმებს, რომელთაც 2014 წლის 7 თებერვლამდე მინიჭებული ჰქონდათ სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობაში „ბავშვთა კლინიკური ტოქსიკოლოგია“, უფლება აქვთ, მოიპოვონ სახელმწიფო სერტიფიკატი (სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე) საექიმო სპეციალობაში „კლინიკური ტოქსიკოლოგია“ მზადების სათანადო კურსის დასრულების შემთხვევაში.